ოქმი:**ო31. 3125363001**
თარიღი:**29/12/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N19.

ქ. ლანჩხუთი

24. 12. 2025 წელი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები მაია ლომთაძე და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე დარეჯან ბურჭულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალეკო კირვალიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 30 საკრებულოს წევრი.

მომხრე საკრებულოს 30 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის N4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ალეკო კირვალიძე/

11. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

მომხრე საკრებულოს 30 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ აღნიშნულ დადგენილებაში შეტანილი უნდა იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 1

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, შეიქმნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო.”

ბ) დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 2

დამტკიცდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს” დებულება დანართი №1-ის შესაბამისად.”

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

მომხრე საკრებულოს 30 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N 25 (24.12.2025).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ

თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

საკრებულოს თანამდებობის პირები:

საკრებულოს თავმჯდომარე - 1 - 6560ლ;

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - 4960 ლ;

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - 2 - 4320ლ;

საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე - 5 – 3520 ლ;

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე - 2 – 3520 ლ;

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე -8 - 2560 ლ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მომსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები:

საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი)- ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - 3200 ლ;

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილება:

საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) – 2560 ლ;

საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში) – 1760 ლ;

საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში) – 1760 ლ;

საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 2 – 1760 ლ;

საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილება:

აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს ხელმძღვანელი) – 2240 ლ;

საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - 9 – 1600 ლ.

საკრებულოს აპარატის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა:

საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე;

მერიისა და საკრებულოს სპეციალისტი კომპიუტერული მომსახურების დარგში;

საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი;

საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი;

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მძღოლი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

მომხრე საკრებულოს 30 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 59 (24.12.2025).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილება:

1. მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საკრებულოს წევრის მიერ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან საკრებულოს წევრებს აუნაზღაურდებათ, რომლის ზღვრული ოდენობაა თვეში 1028,50 ლარი. “

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 01 იანვრიდან.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

მომხრე საკრებულოს 30 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 60 (24.12.2025).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა.** მან განმარტა, რომ 2026-2029 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

ინფრასტრუქტურის განვითარება;

დასუფთავება და გარემოს დაცვა;

განათლება;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

2025 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები დაგეგმილია 56006,0 ათ. ლარი. მათ შორის გადასახადები 16600,3 ათ. ლარი, გრანტები 34967.9 ათ. ლარი, სხვა შემოსავლები 4437,8 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალი 248,4 ათ. ლარი. 2025 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი 7147,6 ათ.ლარიდან დაფინანსდება გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სპორტული დარბაზის და სტადიონების მშენებლობა. გარდა ამისა, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსებაზე გამოყოფილი 19827,6 ათ. ლარიდან განხორციელდება შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია და ნაპირსამაგრის მოწყობა, სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარება, როგორც ინფრასტრუქტურული სამუშაოებით ასევე ფულადი კომპანსაციით. ამასთან, გადახდილი იქნება შეძენილი ავტობუსების ღირებულების ნაწილი 206,1 ათ ლარი. 1157,8 ათ ლარი გაიხარჯება მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობაზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები: დასრულდება ყველა ის სამუშაოები, რომელიც დაიწყო 2024 წელს. ასევე, განხორციელდება სტიქიის შედეგად დაზარალებული ობიექტების რეაბილიტაცია, სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაზე სახლის სახურავების რეაბილიტაცია და კომპენსაციის გაცემა.

2026 წელს ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 4599000 ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 3275000 ლარი; განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 5560000 ლარი; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 5525300 ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 1855000 ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი ერთი (თორნიკე მითაიშვილი).

მიღებულ იქნა განკარგულება N 61 (24.12.2025).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 118000 ლარით და განისაზღვრა 22074400 ლარით, გადასახადები განსაზღვრულია 18376400 ლარით, გრანტები-486000 ლარით, სხვა შემოსავლები-3212000 ლარით, ხარჯები-23665100 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 3758600 ლარით, ბიუჯეტის მთლიანი სალდო-5455900 ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 1709100 ლარით, ფინანსური აქტივების ცვლილება-5485000 ლარით. ფინანსური აქტივების კლება 5485000 ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე მოსალოდნელ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2026 წლის განმავლობაში. 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 29100 ლარს. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 4599000 ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 3275000 ლარი; განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 5560000 ლარი; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 5525300 ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 1855000 ლარი.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ საკრებულო უკვე ორი თვეა განიხილავს 2026 წლის ბიუჯეტის პროექტს, რაშიც აქტიურად ჩაერთო ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“. მათ წარადგინეს გარკვეული წინადადებები, რომელთაგან რამდენიმე გათვალისწინებული იქნა. ესენია: ფრაქციის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ლოლიტა ურუშაძის ინიციატივა, რომელიც მოიცავს ავასტინის (თვალის ინექცია) დაფინანსებას და ფრაქციის ინიციატივა 0-დან 18 წლამდე ბავშვების საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება,

სადაც სოციალური ქულების გარეშე მოხდება დაფინანსება. ეს ეხება, როგორც უკვე ჩატარებულ, ისე გეგმიურ და გადაუდებელ საოპერაციო ხარჯებს, რაც დიდი შეღავათია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის, რისთვისაც მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, საკრებულოს თავმჯდომარეს და ყველა იმ კოლეგას, ვინც მხარი დაუჭირა ამ ინიციატივების 2026 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებას. დასასრულს, მან მოუწოდა კოლეგებს მხარი დაუჭირონ 2026 წლის ბიუჯეტს, ვინაიდან ეს არის შესაძლებლობა მეტი კარგი საქმე გაკეთდეს მუნიციპალიტეტის და მისი მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ვერიკო კვირკველიამ** აღნიშნა, რომ განიხილება მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც იქნება მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმა. 2026 წლის ბიუჯეტის პროექტზე მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა, განიხილა როგორც მერიის შესაბამისმა სამსახურებმა, ასევე საკრებულოს კომისიებმა და ფრაქციებმა, რომლებსაც ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მერი, გამოითქვა რიგი შენიშვნები და წინადადებები, რომელთაგან გარკვეული ნაწილი იქნა გათვალისწინებული და მიღებული. დოკუმენტი არის ის ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც შემუშავებული იქნა იმ რესურსების გათვალისწინებით რაც არის წარმოდგენილი ბიუჯეტში. ეს ბიუჯეტი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ განხორციელდეს ის პროექტები, რომლებიც უკვე დაგეგმილია და მიმდინარეობს. ასევე, მოხდეს რეაგირება და შენარჩუნდეს სტაბილურობა ახალ გამოწვევებზე. მან მოუწოდა კოლეგებს მხარი დაუჭირონ 2026 წლის ბიუჯეტს.

საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარემ **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ 2026 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფრაქციის მიერ გამოთქმული რიგი შენიშვნები და დასძინა, რომ ბიუჯეტი არის ცოცხალი ორგანიზმი და ის შენიშვნები, რაც ამ ეტაპზე ვერ აისახა, შემდგომში იქნება გათვალისწინებული და ფრაქცია ,,ხალხის ძალა“ მხარს უჭერს 2026 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტს. დასასრულს, მან დამდეგი შობა - ახალი წელი მიულოცა დამსწრე საზოგადოებას და სრულიად მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

საკრებულოს წევრმა, **გოჩა ჯანაშიამ** გამოთქვა მოსაზრება, რომ ბიუჯეტი არის დაუბალანსებელი და შესაძლოა ვერ შესრულდეს. ის დაინტერესდა, როგორ მიდის დაწყებითი კლასის მოსწავლეთათვის ბარათების დამზადების საკითხი.

საკრებულოს წევრი, **თორნიკე მითაიშვილი** დაინტერესდა, როგორ აპირებენ სუფსაში წყალმომარაგების პრობლემის აღმოფხვრას, ექნება თუ არა შეღავათი დასუფთავების მოსაკრებელზე სოციალურად დაუცველ ოჯახებს და როგორ მოგვარდება უსახური შენობების საკითხი, რომელიც არის მეპაიების საკუთრებაში.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ 2025 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც თავიდანვე სწორად იყო დაგეგმილი. წლებია ბიუჯეტის შესრულებას არ შექმნია პრობლემები, განსაკუთრებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის, ალექსანდრე სარიშვილის ხელმძღვანელობის პერიოდში. 2026 წლის ბიუჯეტი მერიის საფინანსო სამსახურის, მერის და საკრებულოს ჩართულობით, მუნიციპალიტეტის შემოსავლების მიხედვით დაგეგმილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მოთხოვნებისა და საჭიროების გათვალისწინებით და მის შესრულებას არ ექნება პრობლემა. ის დაინტერესდა, 2026 წელსაც იქნება თუ არა შესაძლებელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დასაქმდნენ სოციალური პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები ან მათი დასაქმების მიზნით შესაბამის ა(ა)იპიში დაემატოს შტატები.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ჩახვაძე** ასევე დაინტერესდა, როდის იქნება კოლხეთის ეროვნული პარკის თანამშრომლების გადამზადება რომლისთვისაც თანხები უკვე ჩადებულია ბიუჯეტში და ვის ექნება ვალდებულება პარკის მოვლა-პატრონობაზე.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** გააკეთა შემდეგი სახის განმარტებები:

ბიუჯეტი არასდროს არ არის საკმარისი, მაგრამ იგი იგეგმება რესურსებიდან გამომდინარე და 2026 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა ისე, რომ მაქსიმალურად მორგებულიყო მუნიციპალიტეტის საჭიროებებს. ამასთანავე, ის დარწმუნებულია, რომ მას არ შეექმნება შესრულების პრობლემა.

დაწყებითი კლასის მოსწავლეთათვის ბარათების დამზადების შესახებ ინიციატივა გასულ წელს შემოვიდა ფრაქციის მიერ, მაგრამ მას აკლდა დასაბუთება, თუ როგორ შეძლებდნენ ბავშვები ამ ბარათის გამოყენებას, ამიტომ ვერ მოხდა ამ პროექტის რეალიზება. მან მზაობა გამოთქვა განიხილოს პროექტი, თუ ის იქნება სრულყოფილად მომზადებული და გათვლილი იქნება შესაძლო რისკები.

სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების საკითხების მოსაგვარებლად ჩატარდა რიგი სამუშაოები, მაგრამ შედეგი ვერ იქნა მიღებული, ამიტომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სამუშაოების შემსრულებლებისთვის თანხები არ გაცემულა.

დასუფთავების მოსაკრებელი სულზე არის 50 თეთრი და ოჯახზე - მაქსიმუმ ორი ლარი, რომელიც არ არის იმ რაოდენობის თანხა, რომ სოციალურად დაუცველმაც ვერ შეძლოს გადახდა, თუმცა სურვილის შემთხვევაში შესაძლოა მსჯელობა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უსახური შენობების საკითხი, რომლებიც სახელმწიფო ბალანსზეა, მოსაგვარებელია სახელმწიფოსთან. კერძო საკუთრებაში არსებული შენობების იერსახის მოწესრიგება დაევალათ მათ მეპატრონეებს, ხოლო მეპაიები უნდა შეთანხმდნენ სახელმწიფოსთან, რაშიც მუნიციპალიტეტი ჩაერთვება შესაძლებლობის ფარგლებში.

სოციალური პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების დასაქმება იყო ოთხწლიანი სახელმწიფო პროგრამა და უკვე დასრულდა, ხოლო დამატებითი ხარჯების აღება ახალი ბიუჯეტის პირობებში ამ ეტაპზე არ არის შესაძლებელი.

კოლხეთის ეროვნული პარკის მოსაწყობად თანხები მოზიდული იყო ორგანიზაციებიდან მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ სხვადასხვა პროგრამებში და პროექტებში გამარჯვების შედეგად. კოლხეთის ეროვნულ პარკს საქართველოში ანალოგი არ ყავს. სტიქიამ დააზიანა პარკის ღობე, მაგრამ მისი აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მოწყობილია ვიზიტორთა ცენტრი, საპარკინგე ადგილები, შეძენილია ორი ყველგანმავალი ნავი, ხუთი ნიჩბიანი ნავი. მუნიციპალიტეტს მთავრობის წინაშე აქვს ვალდებულება, რომ ერთი ძრავიანი ნავი შეიძინოს, რომელსაც აუცილებლად განახორციელებენ. გარდა ამისა, დაცული ტერიტორიების სამსახურთან ერთად ხელშეკრულების გაფორმების დროს ჩაიდო მუხლი, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტი უნდა ყოფილიყო ამ ტურისტული ლოკაციის მართვის განმახორციელებელი ორგანო და იგი არ გაეტანათ აუქციონზე. მისი თქმით, მსგავსი ტიპის პროექტის მართვა და მოვლა - პატრონობა მუნიციპალიტეტისათვის ძალიან რთულია, ამიტომ, მთავრობასთან შეთანხმებით უნდა მოხდეს აუქციონზე გატანა და ისეთი კომპანიის შერჩევა, რომელიც მსგავს საკითხებში ძალიან კარგად ერკვევა. რეალურად, ამ ლოკაციის ამუშავება იქნება ძალიან მომგებიანი, ხოლო აუქციონის პირობებზე ერთად იქნება სამსჯელო.

პირველ იანვრამდე, სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას, რომლებსაც მოგვარებული აქვთ დოკუმენტაცია, ჩაერიცხებათ კომპენსაციის თანხა.

დასასრულს, მუნიციპალიტეტის მერმა დამდეგი შობა - ახალი წელი მიულოცა დამსწრე საზოგადოებას და სრულიად მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. მუნიციპალიტეტში საახალწლო განწყობის ასე ლამაზად შექმნისთვის, წინსვლისთვის და პროგრესისთვის მადლობა გადაუხადა კეთილმოწყობისა და კულტურის სამსახურებს, მერის მოადგილეს ეკა გუჯაბიძეს და მის გუნდს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მისი აპარატის სრულ შემადგენლობას. ასევე, მერიის ყველა სამსახურს.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი ორი (თორნიკე მითაიშვილი და გოჩა

ჯანაშია).

მიღებულ იქნა დადგენილება N 26 (24.11.2025).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილიმა.** მან განმარტა, რომ მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტით წარმოდგენილია 14 სოციალური პროგრამა. მათ შორის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა (პროგრამის კოდი 06 02 24). მუნიციპალიტეტი პერსონალური ასისტენტის პროგრამას ახორციელებს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში და დელეგირებისთვის განკუთვნილი მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობით.

წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

მუხლი 1. ფულადი სოციალური დახმარების სახეები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

ა) შშმ პირთა დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 01)

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების და მესამე და მომდევნო ახალშობილზე დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 02)

გ) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა;(პროგრამის კოდი 06 02 03)

დ) ცენტრ ,,იავნანას” თანადაფინანსების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 04)

ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 05)

ვ) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 06)

ზ) მოწყვლადი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 07)

თ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 08)

ი) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 09)

კ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის ,,გამარჯვებულ ქალთა კლუბი"- ს ონკოპაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 10)

ლ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა

დახმარების, ასევე სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 12)

მ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 23).

ნ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა (პროგრამის კოდი 06 02 24).

ო) რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 25).

მუხლი 2. სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი უწყება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახური (შემდგომში – სამსახური).

მუხლი 3. ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა

1. სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებული პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დახმარების დანიშვნის ან მიღების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

2. მერიაში შემოსული ყველა განცხადება თანდართული დოკუმენტაციით შესასწავლად ეგზავნება შესაბამის სამსახურს.

3. მერიის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალური დახმარების მიღების თაობაზე საკითხის განსახილველად მომზადებასა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სხვა პროცედურების განხორციელებას.

4. სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. პროგრამის განხორციელების აუცილებლობას შეისწავლის მერიის შესაბამისი სამსახური და დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 4. ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

კონკრეტული სოციალური პროგრამიდან დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) შშმ პირთა დახმარების პროგრამა-ბიკარბონატული ჰემოდიალეზით – თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსებისას – განცხადება, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №100, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში და პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

ა.ა) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსებისას – განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა) სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ-ფაქტურა. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად. მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე;

ა.ბ) ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების

ტრანსპორტირების დაფინანსებისას – ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის პროგრამის შემთხვევაში პირის კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი; კანონიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში – დამადასტურებელი საბუთი და მისი ასლი, მინდობით აღმზრდელის შემთხვევაში – მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლი; ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №100 „სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა. მომსახურეობის მომწოდებელი ორგანიზაციის მომართვა ან ცნობა თვის განმავლობაში ბენეფიციარზე გაწეული მომსახურეობის რაოდენობის შესახებ. რომლის შესაბამისად მოხდება მომსახურეობის მომწოდებელი ორგანიზაციისთვის და ბავშვებისთვის ტრანსპორტირების თანადაფინანსება. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში. ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების შემთხვევაში – პირის კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი; აღმზრდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი; კანონიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში – დამადასტურებელი საბუთი და მისი ასლი, მინდობით აღმზრდელის შემთხვევაში – მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლი; ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №100. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა. მომსახურეობის მომწოდებელი ორგანიზაციის მომართვა თვის განმავლობაში ბენეფიციარზე გაწეული მომსახურეობის რაოდენობის შესახებ, რომლის შესაბამისად მოხდება შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების თანადაფინასება. თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

ა.გ) ზრდასრული შშმ ბენეფიციარები, რომლებიც სარგებლობენ დღის ცენტრის მომსახურეობით შშმ პირთა ტრანსპორტირების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება ტრანსპორტირების თანადაფინანსება - მუნიციპალიტეტის მერსა და ა(ა)იპ ადაპტი-თანასწორობისა და განვითარების ცენტრის დირექტორს შორის გაფორმებული შეთანხმების აქტი; დირექტორის მიერ თანხის ყოველკვარტალური მოთხოვნა;

ა.დ) ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფისას- ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ჯანმრთელობის ფორმა №100/ა და ანგარიშფაქტურა საქართველოში განთავსებული შესაბამისი სააფთიაქო დაწესებულებიდან. თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების და მესამე და მომდევნო ახალშობილზე დახმარების პროგრამა – მრვალშვილიანი ოჯახების დახმარებისას-განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები, მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი, ერთ-ერთი მშობლის საბანკო ანგარიში;

ბ.ა) მესამე და მომდევნო ახალშობილზე დახმარებისას - განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები, მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი, ერთ-ერთი მშობლის საბანკო ანგარიში.

გ) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა – ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს: განცხადება; სამკურნალო დაწესებულების ანგარიშფაქტურა/ კალკულაცია; განმცხადებლის (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი); ცნობა

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100,); ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ; ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ; ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, სასწრაფო -გადაუდებელი მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების, ანგიოგრაფიული კვლევის, იმუნოჰისტოქიმური კვლევის, პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT), ბიოფსიის და ენცეფალოგრამის უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა ღირებულების 50% მაგრამ არაუმეტეს 400 ლარისა,) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი

აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.

დ) ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა – კომუნალური ხარჯების, ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების თანხის კალკულაციის წარმოდგენა;

ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა - მუნიციპალიტეტის მერსა და ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორს შორის გაფორმებული შეთანხმების აქტი; პრორექტორის მიერ თანხის ყოველთვიური მოთხოვნა;

ვ) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა – განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ცნობა სოციალური სააგენტოდან, რომ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე;

ზ) მოწყვლადი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა-

ზ.ა) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებისას - განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, დევნილის მოწმობის ასლი და საბანკო ანგარიში;

ზ.ბ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარებისას-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბენეფიციარის საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

ზ.გ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების დაფინანსებისას-განცხადება, მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

ზ.დ) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარებისას – განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე; პროგრამის ფარგლებში იმ ბენეფიციარებს, რომლებიც ვერ სარგებლობენ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ვერც ერთი პროგრამით და მუნიციპალიტეტისთვის მომართვისას განიცდიან მძიმე ეკონომიურ სიდუხჭირეს რაც დასტუდრება ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის შუამდგოლობით და თანდართული დოკუმენტაციით მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახურის დასკვნის გათვალისწინებით გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

ზ.ე) 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარებისას- ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ

გაცემული შესაბამისი მიმართვა ან ცნობა. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

თ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა- განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში;

ი) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა – განცხადება, ცნობა, რომ ბენეფიციარს არ აქვს საცხოვრებელი ფართი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, განმცხადებლის და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ფართის მეპატრონის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ბენეფიციარსა და საცხოვრებელი ფართის მეპატრონეს შორის გაფორმრბული ქირავნობის ხელშეკრულება და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის საბანკო ანგარიში;

კ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის ,,გამარჯვებულ ქალთა კლუბი"- ს ონკოპაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამა -ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ პროგრამებზე გახარჯული თანხის კალკულაციის წარმოდგენა და საბანკო ანგარიში;

ლ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების, ასევე სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა-

ლ.ა) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარებისას – განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით.

ლ.ბ) ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისას - განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დოკუმენტი, ბენეფიციარის საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით;

ლ.გ) სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარებისას - განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, „სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს გურიის სამხარეო ცენტრის“ ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან ცნობა. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით;

მ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. პროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F84.0-დან F84.9-ის) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლის ასაკის ჩათვლით, ასევე პროგრამის მოსარგებლეები არიან (R62.0) განვითარების ეტაპების დაყოვნების დიაგნოზის მქონე 0-დან 2 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულნი; პროგრამაში ჩართვისთვის ბავშვის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა პროგრამაში ჩართვის განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, პასპორტი, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი;

მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი, კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში – აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), მინდობით აღმზრდელის შემთხვევაში – მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლი; ბავშვთა ფსიქიატრის მიერ გაცემული მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), რომელშიც მითითებული უნდა იყოს პირის ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი, სულ მცირე, ADOS ტესტირების შედეგი; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). რეაბილიტაციური სერვისის განხორციელების საჭირო ხარჯი დაფინანსდება მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, რომელიც შესრულებული სამუშაო კალკულაციის შესაბამისად გადაირიცხება შემსრულებელი ორგანიზაციის ანგარიშზე;

ნ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა- პროგრამით დადგენილი მომსახურების მიმღები პირია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მცხოვრები 18 წელზე უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელსაც სამინისტროს მიერ უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით განხორციელებული შეფასების საფუძველზე განესაზღვრა პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი. პროგრამით სარგებლობისთვის უნდა იყოს წარმოდგენილი შევსებული განაცხადის ფორმა; ასისტირების საჭიროების მქონე პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ პირს ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი; შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი; ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან; მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე პირი – მარჩენალის გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტი; მარტოხელა პენსიონერის შემთხვევაში – შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული სამართლებრივი დოკუმენტი (რომლითაც დასტურდება, რომ არ ჰყავს შვილები და/ან მარჩენალი); მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი; მრავალშვილიანი ოჯახის სრულწლოვანი პირის შემთხვევაში – ყველა შვილის დაბადების მოწმობის ასლი. ბენეფიციარის პერსონალური ასისტენტის პროგრამაში ჩართვაზე გადაწყვეტილება მიიღება მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ.

ო) რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა- ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვის/ბავშვების დაბადების მოწმობის ასლი. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე.

ო.ა) მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარებისას- ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, „სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან ცნობა. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით;

შენიშვნა: ამ მუხლის „მ)“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: 1) შესაბამისი მომსახურების მიწოდებისთვის ორგანიზაციას უნდა ჰყავდეს ქცევითი თერაპევტი; 2) ქცევითი თერაპევტის (10 მოსარგებლეზე, არანაკლებ, 1 თერაპევტის) ყოლა, რომელიც არის ბავშვის ქცევითი აშლილობების მართვის უნარ – ჩვევების მქონე დიპლომირებული სპეციალისტი ფსიქოლოგიაში და გავლილი აქვს გამოყენებითი ქცევითი ანალიზის ბაზისური მომზადების კურსი, რაც დასტურდება სერტიფიკატით ან/და შესაბამისი დოკუმენტით; 3) აუცილებელია,

ყოველ 5 ქცევით თერაპევტზე ჰყავდეს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის მქონე ერთი ქცევითი თერაპევტი, რომელსაც შეუძლია: ბავშვის/მოზარდის უნარების შეფასება/გადაფასება შესაბამისი საერთაშორისო მეთოდოლოგიის გამოყენებით (ინსტრუმენტები: ABLLS,VB-MAPP და სხვა); ინდივიდუალური თერაპიული პროგრამის შედგენა; აქვს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან დამოუკიდებლად მუშაობის, სულ მცირე, 2 წლის გამოცდილება; 4) უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (თითოეული მოსარგებლისთვის ერთი-ერთზე სერვისის განსახორციელებლად). ქ. ლანჩხუთში მიმღებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვებზე არ გავრცელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის ვალდებულების ჩანაწერი.

მუხლი 5. განცხადებების განხილვა

1. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სამსახურის მიერ მომზადებული ბრძანების პროექტის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროგრამებიდან დახმარებების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია რომლის შემადგენლობაში შედის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების განყოფილების უფროსი; მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და საკრებულოდან მოწვევით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარებისას კომისიის შემადგენლობას დაემატება- მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების სპეციალისტი. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და არის სარეკომენდაციო ხასიათის. კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს თვეში ერთხელ მაინც. კომისიის ოქმის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარება.

3. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროგრამებიდან დახმარების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია რომლის შემადგენლობაში შედის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების განყოფილების უფროსი; მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის განხორციელების მიზნით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი და საკრებულოდან მოწვევით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და არის სარეკომენდაციო ხასიათის. კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს თვეში ერთხელ მაინც. კომისიის ოქმის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარება.

4. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროგრამიდან დახმარების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია რომლის

შემადგენლობაში შედის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი; მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და საკრებულოდან მოწვევით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და არის სარეკომენდაციო ხასიათის. კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს თვეში ერთხელ მაინც. კომისიის ოქმის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

მუხლი 6. სამსახურის მიერ დასკვნის მომზადება

1. სამსახური სოციალური დახმარების გაცემის საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით.

2. სამსახური უზრუნველყოფს ყოველთვიური დახმარების მიმღებთა ოჯახებში მომხდარი ცვლილებების სისტემატურ შემოწმებას და ამზადებს დასკვნას ბენეფიციართა საქმეში შესაბამისი შესწორებების შეტანის თაობაზე (დახმარების დანიშვნის გაუქმება, შეწყვეტა, აღდგენა). ცვლილებებში იგულისხმება ბენეფიციართა ახალი ოჯახების გამოვლენა ან გაუქმება, ოჯახის წევრთა მატება-კლება, ბავშვების სრულწლოვანების დადგენა, სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფა და ა.შ.

3. სამსახური, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიასთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში მოიპოვებს ინფორმაციას სკოლის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე და პროგრამის გაგრძელების შესახებ დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 7. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

1. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, რომელიც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

2. მერის ბრძანებით განისაზღვრება ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და ინიშნება სოციალური დახმარება.

3. სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის შემთხვევაში პროგრამის განხორციელების მიზნით ტრანსპორტირების თანხა სკოლას გადაერიცხება ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პროექტორის მოთხოვნის საფუძველზე.

4. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია წინამდებარე წესის 1-ლი მუხლის „ლ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დახმარების გაცემა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს, დახმარება შეიძლება გაიცეს კომისიის ოქმის გარეშეც, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

მუხლი 8. ფულადი დახმარების გაცემა

1. სოციალური დახმარების გაცემა ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

2. მერის ბრძანების ასლი, რომლითაც დამტკიცებულია ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და დანიშნულია სოციალური დახმარება, იგზავნება მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში.

3. სოციალური დახმარების გაცემას ახდენს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

ზემოაღნიშნული პროგრამებიდან დახმარების გასაცემად აუცილებელია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის

დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განხილვა და მიღება. წარმოდგენილი სოციალური პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა ასახულია 2026 წლის ბიუჯეტის პროექტში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი ერთი (თორნიკე მითაიშვილი).

მიღებულ იქნა განკარგულება N 62 (24.12.2025)

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში შედის ცვლილება, კერძოდ, დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები

ხელმძღვანელობა -3

მერი - 7200ლ;

მერის პირველი მოადგილე - 5600ლ;

მერის მოადგილე - 5120ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური - 18

პირველი რანგი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამსახურის უფროსი - 3200ლ;

სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება - 3.

მეორე რანგი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი - 2560ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -1760ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1600ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება - 3

მეორე რანგი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი-2560ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1760ლ;

მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი-1440ლ;

ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან ურთიერთობის და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილება-3.

მეორე რანგი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი-2880ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1760ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1600ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - საქმის წარმოებისა და არქივის განყოფილება-5

მეორე რანგი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი-2560ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1760ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1600ლ;

მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი-2-1440ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება-3

მეორე რანგი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი-2560ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1760ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1600ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური-12

პირველი რანგი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -სამსახურის უფროსი-3200ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - სივრცითი მოწყობის განყოფილება-3

მეორე რანგი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი-2560ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1600ლ;

მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი-1440ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - ინფრასტრუქტურის განყოფილება-6

მეორე რანგი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი-2560ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1760ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-3-1600ლ;

მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი-1440ლ;

ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილება-2

მეორე რანგი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი-2560ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1760ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-14

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -სამსახურის უფროსი-3200ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული -საბიუჯეტო განყოფილება-3

მეორე რანგი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი-2560ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1760ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1600ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების გაყოფილება-3

მეორე რანგი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი-2560ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1760ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1600ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - სახაზინო და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის განყოფილება-3

მეორე რანგი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი-2560ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1760ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1600ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - შესყიდვების განყოფილება-4

მეორე რანგი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი-2560ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1760ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-2-1600ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური-11

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -სამსახურის უფროსი-3200ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული -ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება -4

მეორე რანგი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი-2560ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1760ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-2-1600ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება-6

მეორე რანგი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი-2560ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1760ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-3-1600ლ;

მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი-1440ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური-8

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -სამსახურის უფროსი-3200ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება-3

მეორე რანგი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი-2560ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1760ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1600ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილება-4

მეორე რანგი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი-2560ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-2-1760ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1600ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - ზედამხედველობის სამსახური-6

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -სამსახურის უფროსი-3200ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - მუნიციპალური ინსპექტირების განყოფილება-4

მეორე რანგი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი-2560ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1760ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-3-1600ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული- შიდა აუდიტის სამსახური-5

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -სამსახურის უფროსი-3200ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - შიდა აუდიტის განყოფილება-2

მეორე რანგი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი-2560ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1600ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - რეკომენდაციების, მონიტორინგისა და დისციპლინური წარმოების განყოფილება-2

მეორე რანგი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი-2560ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1600ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული- ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-7

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -სამსახურის უფროსი-3200ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილება-6

მეორე რანგი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი-2560ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-2-1760ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-2-1600ლ;

მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი-1440ლ;

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული -მერის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში-16-2350ლ;

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში-27-1130ლ;

სულ ჯამი-127 დასაქმებული.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი ერთი (თორნიკე მითაიშვილი).

მიღებულ იქნა განკარგულება N 63 (24.12.2025).

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ 2025 წლის 30 იანვრის N186 განკარგულებაში მიმდინარე წლის 10 დეკემბრის N2081 განკარგულებით შესული ცვლილებების საფუძველზე მუნიციპალიტეტს სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, გამოიყო 3500000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი, რომელიც მიიმართება გზებისა და ხიდეების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 2781205 ლარი, ნაპირსამაგრ სამუშაოების რეაბილიტაციაზე 718795 ლარი. საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 04 აპრილის N1604/1 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებით გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოების დასაფინანსებლად გამოიყო 125629,67 ლარი. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 თებერვლის N332 განკარგულებაში მიმიდნარე წლის 10 დეკემბრის N2082 განკარგულებით შესული ცვლილებით მუნიციპალიტეტს გამოეყო ფინანსური დახმარება 400000 ათასი ლარი, ფინანსური დახმარების გეგმის 400000 ლარით ზრდის ხარჯზე შემცირდეს სხვა შემოსავლების გეგმა 300000 ლარით, მათშორის ჯარიმები სანქციები და საურავებიდან შემოსავალის გეგმის 200000 ლარით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლის გეგმა 100000 ლარით, არაფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვა) შემოსავლის გეგმა შემცირდეს 100000 ლარით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი ერთი (თორნიკე მითაიშვილი).

მიღებულ იქნა განკარგულება N 64 (24.12.2025).

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის N4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ**. მან განმარტა, რომ საკრებულოს განკარგულების ცვლილების პროექტი, მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელიც მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საწყისი საპრივატიზაციო ფასის განსაზღვრის მიზნით, მერიის მოთხოვნით შეფასებული - 27.08.46.290; - 27.08.46.269; - 27.13.45.271; -27.15.52.011 საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებული მუნიციპალური უძრავი ქონება, შემგომში განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას და გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

მომხრე საკრებულოს 30 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 65 (24.12.2025).

დღის წესრიგის მეათე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ალეკო კირვალიძემ.** მან განმარტა, რომ წარმოდგენილი აქვს 2026 წელს რეგიონული განვითარების ფონდით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების მოწყობა-1116222,2 ლარი;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების მოწყობა-556915,63 ლარი;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების მოწყობა-1092748,22 ლარი;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების მოწყობა-1829052,72 ლარი;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების მოწყობა-885185,37 ლარი;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების მოწყობა-1539877,77 ლარი;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების მოწყობა-1116557,48 ლარი;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების მოწყობა-1174684,09 ლარი;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების მოწყობა-587185,13 ლარი;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში სანიაღვრე არხების მოწყობა-809160,15 ლარი;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში სანიაღვრე არხების მოწყობა-792652,46 ლარი;

ქ. ლანჩხუთში თავისუფლების ქუჩის რეაბილიტაცია-1439648 ლარი;

ქ. ლანჩხუთში ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია-220348 ლარი;

აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გაგურის ცენტრიდან ნაგომრის ხიდამდე ასფალტო ბეტონის გზის მოწყობა-2430645 ლარი;

აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გაგურის ცენტრიდან ზომლეთის ხიდამდე ასფალტო ბეტონის გზის მოწყობა-1998898 ლარი;

ქ. ლანჩხუთში კვირკველიას ქუჩის მოწყობა-1387894,52 ლარი;

ქ. ლანჩხუთში ცაბაძის, ჩხაიძის, საფო მგელაძის ქუჩების მოწყობა-1568103,54 ლარი;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. წყალწმინდაზე ჭონჭყოს უბანში შიდა გზის მოწყობა-780269,01 ლარი;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. ღესაში პლატფორმის უბანში შიდა გზის მოწყობა-1507239,07 ლარი;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯურუყვეთში გოგუების უბანში შიდა გზის მოწყობა-2447478,54 ლარი;

ქ.ლანჩხუთში კუპრეიშვილის ქუჩის მოწყობა-1158846,1 ლარი.

სულ26439611 ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

მომხრე საკრებულოს 30 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 66 (24.12.2025).

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, **კარლო კვიტაიშვილი** დაინტერესდა, არის თუ არა სიახლე გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად კუპრეიშვილის, თავისუფლების და სამების ქუჩებზე დაზიანებული გზის სავალი ნაწილის მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა, **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში, ავტობანის მშენებლობის შედეგად დაზიანდა მიმდებარე მიწის ნაკვეთები, რის გამოც ოთხი ოჯახი ვერ სარგებლობს საყანე ფართობებით. მან ასევე აღნიშნა, რომ ლესის ადმინისტრაციულ ერთეულშიც ბევრია უსახური შენობები და ეს საკითხიც მისახედია. ამის შემდეგ, საკრებულოს წევრმა მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, საკრებულოს თავმჯდომარეს და საკრებულოს წევრებს ლესაში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ბავშვის დახმარებისთვის. დასასრულს, მან დამდეგი შობა ახალი წელი მიულოცა დამსწრე საზოგადოებას.

საკრებულოს წევრი, **კარლო წილოსანი** შეეხო უსახური შენობების თემას და ითხოვა, რაც შეიძლება მალე მოახდინონ რაიონული საავადმყოფოს ეზოში მდებარე ორი შენობის დემონტაჟი, რადგან წვიმის დროს ერთ - ერთ მათგანში შედიან ადამიანები გადასაყუდრებლად, რაც შეიძლება სავალალო შედეგით დასრულდეს.

საკრებულოს წევრი, **გოგი მორჩილაძე** დაინტერესდა, როდის მოგვარდება სოფელ აკეთში და ჭანჭათში წყალმომარაგების საკითხი.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** გააკეთა შემდეგი სახის განმარტებები:

ინფრასტრუქტურის სამინისტროს და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლებს ჰქონდათ შეხვედრები, ისაუბრეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუსრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და გაადაწყდა, რომ სახელმწიფო კომპანიას გაუკეთებს გარკვეულ შეღავათებს, რათა მან სრულყოფილად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, რაც თავის მხრივ სასარგებლოა მუნიციპალიტეტისთვისაც.

ავტობანის მშენებლობა საკმაოდ მასშტაბური პროექტია და მას თან სდევს მსგავსი გამოწვევები. პრობლემები არის არა მხოლოდ ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში, არამედ სხვადასხვა ლოკაციებზეც, რის შესახებაც მას ჰქონდა საუბრები ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილესთან და მის წარმომადგენლებთან. ყველა ლოკაციაზე მოხდება პრობლემების აღრიცხვა და შემდგომ მოგვარება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უსახური შენობების საკითხი, რომლებიც სახელმწიფო ბალანსზეა, მოსაგვარებელია სახელმწიფოსთან.

რაიონული საავადმყოფო არის დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბალანსზე. მათთან შეთანხმებით ერთი შენობის დემონტაჟი უკვე მოხდა და თუ კიდევ არის დარჩენილი, რეგიონალური ჯანდაცვის სამსახურთან შეთანხმებით, მოხდება მათი დემონტაჟი.

სოფელ აკეთში წყალმომარაგების სისტემის მოწყობაზე მომუშავე კომპანიას არ ჰქონდა გათვლილი მოტორის დაყენება, ამიტომ ახლა აქვთ შეკვეთილი ორი მძლავრი მოტორი, რომელიც უახლოეს დღეებში ჩამოვა და პრობლემაც მოგვარდება. სოფელ ჭანჭათში დასანიშნია წყლის სისტემის გამართულად მუშაობაზე პასუხისმგებელი სპეციალისტი და ამის შემდგომ პრობლემა მოგვარდება.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24 დეკემბერი 2025 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11:35	
2	ვერიკო კვირკველია	11:25	
3	მაია ლომთაძე	11:50	
4	გიორგი ჩახვაძე	11:59	
5	გიორგი ხელაძე	11:00	
6	ალექსანდრე მახათაძე	11:45	
7	ზაზა წულაძე	11:35	
8	კარლო კვიტაიშვილი	11:55	
9	გიორგი იმნაიშვილი		
10	ია მოქია	11:50	
11	დარეჯან ბურჭულაძე	11:50	
12	ლოლიტა ურუშაძე	11:55	
13	ვლადიმერ ნანაძე	11:00	
14	კარლო წილოსანი	11:40	
15	ნინო მშვიდობაძე	11:53	
16	ივანე ებრალიძე	11:45	
17	ირაკლი ცინცაძე	11:46	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11:52	
19	თენგიზ ხუხუნაიშვილი	11:55	
20	გოგი მორჩილაძე	11:55 11:45	
21	ელისო ჭიჭინაძე	11:55	
22	რევაზ კვერენჩხილაძე		
23	ირაკლი ტოროტაძე	11:44	

24	ტატო ურუშაძე	11:45	
25	გელა პატეიშვილი	11-45	
26	თენგიზ ურუშაძე	11-46	
27	ვარლამ ჩხარტიშვილი	11:45	
28	ბესიკი კვაჭანტირაძე	11⁰⁰	
29	სამსონ კვაჭაძე	11 50	
30	გოჩა ჯანაშია	11 55	
31	თორნიკე მითაიშვილი	11:46	
32	ჯუმბერ ბლაგიძე		